



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის

( ო ქ მ ო ) №11

ქ. ბათუმი

2018 წლის 09 აგვისტო  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე

**ე ს ჟ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დემეტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიმიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურბე	საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ - ე. ნატარიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ს. მიქელაძე;

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე;

შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორის მოადგილე - რ. ასანიძე;

ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ დირექტორის მ/შ - შ. ფხაკაძე;

ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯ. კობალაძე;

ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - ს. ევგენიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს არ უნდა ის ავბედითი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დღეების გახსენება, რაც ჩვენს ქვეყანას 10 წლის წინ თავს დაატყდა. ყველა ჩვენგანში იწვევს ტკივილს, სამწუხაროდ დაიღუპა შეიარაღებული ძალების 168 სამხედრო მოსამსახურე, 16 პოლიციის თანამშრომელი, დაახლოებით 228 მშვიდობიანი მოქალაქე და ამ დღეებში ოკუპანტ ქვეყანაში ეთნიკური ნიშნით 7 მოქალაქე იქნა მოკლული, 20 მოქალაქე უგზო-უკვალოდ დაიკარგა. ის დღეები იწვევს ღრმა ტკივილს და ქედს იხრის იმ ვაჟკაცების წინაშე, ვინც შეეწირა თავისუფალი მომავლისათვის, ამიტომ საკრებულოს წევრებმა ერთგულების სახელით პატივი მიაგეს საქართველოს დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას.

სხდომა დღის წესრიგის მიხედვით გაგრძელდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ - ედნარ ნატარიძე)

2. „დიდი ქართველი მეფის - დავით აღმაშენებლის ძეგლის (ქანდაკების) განთავსების ადგილის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

3. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

4. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თეზიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის მაცხოვრებელი, ერთ ოჯახში 4 დაავადებული ადამიანი ითხოვდა სამედიცინო დახმარებას, რომლებსაც

სათანადო დახმარება გაუწია საკრებულოს წევრმა მ. ართმელაძემ და მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისათვის. ასევე განაცხადა, რომ გონიოს თემში, კვარიათში, ზღვისპირას შენდება 14 სართულიანი შენობა, აშენებს შპს „ტმი“, რომელიც არის გაურკვეველი კომპანია, დარღვეულია მშენებლობის ნორმატივები, მან მოითხოვა დაინტერესება, ვიდრე სავალალო შედეგი მიიღება და კომისიის საფუძველზე გადამოწმება.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში ჩამოსული დამსვენებლების გაქურდვის ფაქტები გახშირდა, რის გამოც მან ითხოვა შსს-ის მიერ მომხდარი ფაქტების აღკვეთა.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე უერთდება იმ პათოსს რუსეთ-საქართველოს ომიდან გასულ 10 წლისთავს, მაგრამ არა თუ 2018 წლის აგვისტოში, არამედ უკვე რამდენიმე საუკუნეა რუსეთი ჩვენი ქვეყნის ოკუპანტი და მტერია, რომელსაც მითვისებული აქვს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების დაახლოებით 20%. აქვე გამოეხმაურა ე.წ დამოუკიდებელი კანდიდატისგან გაკეთებულ განცხადებას, რომელიც 10 წლის თავზე იმას არკვევს, თუ ვინ დაიწყო ომი ქვეყანაში და იმედს იტოვებს, რომ სახელისუფლებო გუნდი არა თუ განცხადებას, არამედ როგორც კანდიდატსაც კი გაემიჯნება სამარცხვინო განცხადებების შემდეგ. ასევე აღნიშნა, რომ ბათუმში, ს. მესხის 126 ნომერში, საცხოვრებელ სახლს სახურავი აქვს გადახდილი და მთელი დღის განმავლობაში წვიმაში გაათენეს ღამე. მიმართა თხოვნით აღნიშნულ საკითხზე მერიის შესაბამისი სამსახურების დაინტერესება.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბულვარის ტერიტორიაზე, მოსაწესრიგებელია ღამის საათებში წესრიგი.

საკრებულოს წევრი ლ. ანთაძე უერთდება პათოსს, რაც რუსეთ-საქართველოს ომთან იყო დაკავშირებული, მან გაიხსენა 10 წლის წინ რეზერვისტების გორში დაბომბვის ფაქტები და რომ არა უფლის წყალობა, ძალიან დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე საკუთარი შემოსავლებისა ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. სპეციალური ტრან-

სფერი 680,0 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით. სხვა შემოსავლები -1,324,1 ათასი ლარით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის 6 თვის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებას ხშირ შემთხვევაში მხარს უჭერს, მაგრამ განვითარება არ ჩანს. მან დასვა ფოლკლორის განვითარების გეგმების შესახებ, ასევე რა იგულისხმება ხელოვანთა აღმოჩენაში, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ხელოვანთა ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ქალაქის მაცხოვრებლებისათვის ხელოვნების წარმოჩენას, მათი მხარდაჭერის ფარგლებში დღესასწაულის ჩატარებას და სხვადასხვა აქტივობების წარმოჩენას.

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა მ. ქიძინიძემ აღნიშნა, რომ წლის ხელოვანთა დაჯილდოების არსი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებასთან ერთად საზეიმო ფორმაში აღინიშნება წლის ყველაზე წარმატებული ხელოვნები. არის სხვადასხვა ნომინაციები, რომლისთვისაც გამოყოფილია 7000 ლარი.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა წყლის რეაბილიტაციის პროგრამის შემცირების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ წყლის რეაბილიტაციის შემცირება გულისხმობდა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგების სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულებას. მცირდება ღონისძიებისა და 2018 წლის საპროგნოზო დაფინანსება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ცენტრალური გზების დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს დაგეგმიითი სამუშაოები, ახალი მაგისტრალის გაყვანა. მიმდინარეობს მოლაპარაკება და ტენდერში გამარჯვებული კომპანია დაიწყებს სამუშაოებს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა კითხვები, კერძოდ: ბარცხანაში, თამარ მეფის

გამზირზე ფეხით მოსიარულეთა ხიდის მშენებლობაზე გათვალისწინებული 186 100 ლარის ამოღების თაობაზე, გამწვანების სამსახურში შტატგარეშე თანამშრომლების დამატების თაობაზე; სარაგბო კლუბი „ბათუმის“ მოთამაშეებზე ხელფასის გაზრდის შესახებ. გამომდინარე აქედან ქ. ბათუმის მერი ბიუჯეტიდან ღონისძიებებს ამცირებს, ხელფასებს კი ზრდის ბიუჯეტის და ბათუმელების ხარჯზე.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ თამარ მეფის გამზირზე ფეხით მოსიარულეთა ხიდის მშენებლობა გასულ წელსაც იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული, მაგრამ გამოცხადებული ტენდერი 2-ჯერ არ შედგა, რის გამოც მიმდინარე ეტაპზე პროექტი ამოღებული იქნა და იგეგმება კერძო ინვესტიციით. წარმოდგენილი ბიუჯეტით საკალათბურთო ასიგნება იზრდება, კლუბში მოწვეული მოთამაშეების ხელფასების, ასევე სპორტული ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების მიზნით. სარაგბო კლუბი „ბათუმის“ ასიგნება არ გაზრდილა, კლუბში მოწვეული მორაგბეების ხელფასების, ასევე მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით, განხორციელდა ღონისძიებებს შორის თანხების გადანაწილება.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ სპორტის ხელშეწყობა ქალაქში მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ბათუმი კარგი მაგალითია სპორტის, განათლებისა და ჯანმრთელობის კუთხით, სამაგალითოა სპორტული პოლიტიკა და ინფრასტრუქტურა, პროგრამები და აქტივობები. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით მიენიჭა ბათუმს ევროპის სპორტის ქალაქის წოდება. ეს ფაქტი თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ ევროპაში საქართველო ერთ-ერთ სპორტულ ქვეყნად ითვლება, რაზედაც დაეთანხმა მ. ართმელაძე და აღნიშნა, რომ ბათუმი საქართველოში პირველი ქალაქია, რომელმაც ეს ტიტული მოიპოვა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ.თავართქილაძე)  
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ა. მამულაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

2. „დიდი ქართველი მეფის - დავით აღმაშენებლის ძეგლის (ქანდაკების) განთავსების ადგილის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილია დიდი ქართველი მეფის - დავით აღმაშენებლის ძეგლის (ქანდაკების) განთავსების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების გადაკვეთაში არსებული წრიული. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს: ა) წინამდებარე განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო მოსამზადებელი ორგანიზაციული, სამართლებრივი და საფინანსო ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის ძეგლის პროექტის (ესკიზის) შერჩევა (შესყიდვა) და მასალების მომზადება საქართველოს შესაბამის სამთავრობო დაწესებულებასთან მისი შეთანხმების მიზნით; ბ) ძეგლის (ქანდაკების) განთავსებამდე წინამდებარე განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ადგილის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით შესაბამისი საინფორმაციო დაფის (ან/და მემორიალის) მოწყობა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ კარგი და მისასალმებელი იდეაა დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა ბათუმში. ჩანს, რომ საკრებულოს უმრავლესობა ერთსულვანია და გადაწყვეტილია წარმოდგენილი საკითხი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ერთპიროვნულად არავის გადაუწყვეტია. ეს



მოხდა შეთანხმებით, ჩვენ გვექონდა მოლაპარაკებები და უმრავლესობა არის ერთსულოვანი ამ საკითხთან მიმართებაში. შერჩეული ადგილი არის ბათუმში, ერთ-ერთი ყველაზე მოძრავი ადგილი.“

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე ამ განცხადებას ისევ გამოეხმაურა: შეთანხმებული და ერთსულოვნები ხართ უმრავლესობა. გადაგიწყვეტიათ, რომ ძეგლის ადგილი იქ უნდა იყოს, მაშინ რას ემსახურება ეს სხდომა?“, რაზედაც მომხსენებელმა იკითხა წინსწრებით თუ დაიდგა საინფორმაციო დაფა, ამაში დანაშაული რაში მდგომარეობს.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე დაინტერესდა, ვიდრე მერია და საკრებულოს უმრავლესობა შეთანხმდებოდნენ, დაინტერესდნენ თუ არა ამომრჩევლის აზრით, ან მოისმინეს თუ არა ურბანისტების მოსაზრება იმაზე, თუ როგორ მოხერხდება იქ ძეგლის განთავსება. უმრავლესობის წევრები კი ამტკიცებდნენ, რომ თითქმის ყოველდღიურად აქვთ ხალხთან შეხვედრა და კარგად იციან ამომრჩევლის პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ის თავის აზრს დააფიქსირებს, არა როგორც თავმჯდომარე, არამედ რიგითი დეპუტატი და მოქალაქე, პროცედურულად, როცა ხდება ძეგლის დადგმა – მიიღება გადაწყვეტილება, მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე, საკრებულო ამტკიცებს მას, მერიას კი დაევალება კონკურსის გამოცხადება. ეს არ ნიშნავს ასი პროცენტით ძეგლის დადგმის საკითხის გადაწყვეტა. ამის შემდეგ საკითხი გადაიგზავნება სამთავრობო კომისიაში, სადაც ურბანისტები და სხვა სპეციალისტებიც განიხილავს. მათი დასკვნის შემდეგ, თუ რამდენად შეეფერება ეს ადგილი, გვექნება ან კი, ან არა. ასევე სისტემატურად იმართება მოსახლეობასთან შეხვედრა. 2005 წლის ოქტომბერი, ყველას კარგად ახსოვს, როგორ თვალსაჩინო ადგილას იდგა იმ დიდებული ადამიანის ძეგლი, 2005 წლის ბოლოს გადაიტანეს თბილისის შესასვლელში. რომელ მოქალაქეს ჰკითხეს მაშინ, ეს ხომ ერთი კაცის გადაწყვეტილება იყო. ჩვენ საზოგადოებასთან გვაქვს კომუნიკაცია, ნებისმიერი საქართველოს მოქალაქე მიესალმება ძეგლის დადგმას.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილება „ქართული მარშის“ სურვილით მიიღო ჯერ ბათუმის მერმა, შემდეგ კი საკრებულოს უმრავლესობამ „გააპრავა.“ მან იკითხა ბათუმელებთან შეთანხმებით იდგმება ძეგლი თუ „ქართული მარშის“ – ნეოფაშისტური ძალის ერთი ხელის დაკვრით? – მე არ მგონია, რომ ნეოფაშისტები უნდა წყვეტდნენ, სად უნდა დაიდგას ძეგლი, მითუმეტეს, რომ აგვისტოს დღეებია ახლა და პრორუსულ ძალასთან შეთანხმებით იღებთ გადაწყვეტილებას.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ მერიას გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია და საკრებულოსთან მოლაპარაკებები ჰქონდა.

საკრებულოს წევრი ნ. ზოიძე ეთანხმება მ. ქამადაძეს იმ ნაწილში, რომ ძეგლი აუცილებლად უნდა დაიდგას ქალაქში და აინტერესებს ურბანისტების შეფასებები. ასევე მან აღნიშნა, რომ ნებისმიერი კარგი თემა ყველაზე მისაღები და მტკივნეული ხდება. საკრებულომ შემოსულ წერილზე გასცა პასუხი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, მაგრამ ოპოზიციურმა პარტიამ, როგორც საკუთარი წარმოჩენა ისე გამოაცხადეს. ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თუ რაიმე ნებისმიერი მოღვაწის მიმართ უკვდავსაყოფად იყო შემოსული განცხადებები და მათ შორის ჟიული შარტავას ძეგლი და ამ ხელისუფლებაში გამოინახა ადგილიც და დაიდგა ძეგლი. მათ დაიწყეს ის პროცესები, რომლებიც წლების მანძილზე იდო თაროზე. მან გააკეთა განცხადება, რომ ნურცერთი პოლიტიკური ძალა ნუ გახდის თემებს აქტივების საგნად, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისთვის.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ განაცხადა, რომ „ქართულ მარშს“ და მის მსგავს ანტიქართულ ძალებს ემიჯნება. ის არა მარტო ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის, არამედ თამარ მეფის ძეგლის დადგმასაც მიესალმება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქართული მარშის“ განცხადებამდე წარმოდგენილი იდეა არსებობდა. ამ შემთხვევაში როგორც კომისიის თავმჯდომარისთვის და საკრებულოს-

თვის მნიშვნელობა არ აქვს განცხადება ვინ შემოიტანა. განცხადება ძეგლის დადგმაზე ეს არ ნიშნავს პრორუსულობას და ნეოფაში-სტობას. საკრებულოში ყოველთვის კარგი და ქალაქისთვის სასარგებლო პროექტები იქნა წარმოდგენილი, მაგრამ მსგავს პროექტებს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის აპროტესტებს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება წარმოდგენილ პროექტში ცვლი-ლების შეტანის თაობაზე, კერძოდ ჩაიწეროს: საკრებულომ გადაწყვიტა, რომ ქ. ბათუმში, დაიდგას დ. აღმაშენებლის ძეგლი. ქ. ბათუმის მერიამ წარმოადგინოს ხელოვნებათმცოდნე-ებთან და ურბანისტებთან შეთანხმებით მინი-მუმ რამოდენიმე ადგილი, დავით აღმაშენე-ბლის ძეგლის განსათავსებლად.

საკრებულოს წევრი ნ. ზოიძე არ ეთანხმება წამოყენებულ წინადადებას პროექტში ცვლი-ლების შეტანის თაობაზე, რადგან მის მიერ წა-მოყენებული პუნქტები წარმოდგენილ განკა-რგულების პროექტში გათვალისწინებულია.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ მ. ქამადაძის მიერ წამოყენებული წინადადება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე, ა. მამულაძე)  
წინააღმდეგი - 17  
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (რ. თავართქილაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0  
არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

**დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

საკრებულოს წევრებმა მ. ქამადაძემ, ლ. ანთაძემ და ნ. დუმბაძემ პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**3. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ განკარგულების მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალისა და ზონების განსაზღვრა, რომლებზედაც/სადაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, ასევე სტენდებისათვის ადგილების განსაზღვრა სააგიტაციო მასალის გასაკრავად.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**4. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პერიოდის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო ღონისძიებების გამართვის მიზნით შენობა-ნაგებობის გამოყოფის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გამოყონ ის შენობა-ნაგებობა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და ამ მიზნით საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაუთმონ იგი შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული ნორმის შესრულების მიზნით, განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყოფა (განსაზღვრა) საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თეზიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

